სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

თებერვალი 2024

2024 წლის თებერვალში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **158 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 261 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **128 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა თებერვალში **416 ლარი** შეადგინა. თბილისში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 596 ლარი შეადგინა, კახეთში - 551 ლარი, გურიაში - 486 ლარი, ხოლო აჭარაში - 304 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2024 თებერვალი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების[3] მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[4] 2024 წლის თებერვალში, 2024 წლის იანვართან შედარებით, 2.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.5%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 1.2%-ით გაიზარდა.

2024 წლის თებერვალში, 2023 წლის თებერვალთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 1.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2.3%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 20.9%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2024 თებ/ 2024 იან	2024 თებ/ 2023 თებ	2024 თებ/ 2024 იან	2024 თებ/ 2023 თებ	2024 თებ/ 2024 იან	2024 თებ/ 2023 თებ
კახეთი	-7.9%	-2.0%	-14.3%	-7.3%	-4.9%	1.2%
იმერეთი	-3.6%	2.7%	-1.5%	2.7%	-6.3%	2.8%
გურია	-4.5%	22.8%	-6.0%	22.8%	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	0.8%	-2.2%	1.2%	1.5%	7.8%	-25.3%
რაჭა	2.6%	13.8%	-	-	2.6%	13.8%
შიდა ქართლი	12.2%	13.2%	-3.7%	-2.6%	18.1%	22.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6.1%	13.3%	6.6%	5.1%	5.5%	22.1%
სამცხე-ჯავახეთი	-5.3%	6.4%	3.1%	0.6%	-12.4%	23.4%
მცხეთა-მთიანეთი	13.8%	7.5%	14.1%	9.6%	13.1%	5.8%
თბილისი	7.5%	2.9%	8.2%	4.6%	1.8%	-29.8%
სულ ფასების % ცვლილება	**2.9%**	**1.5%**	**3.5%**	**2.3%**	**1.2%**	**-20.9%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2024 წლის თებერვალში, 2024 წლის იანვრის ფასებთან და 2023 წლის თებერვლის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სა--დაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 ქვემო ქართლისთვის მონაცემები ვერ შეგროვდა მოცემულ თვეში.

4 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.